ტყიბულის მუნიციპალიტეტი

ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“
გეგმიური აუდიტის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.01.2020-30.06.2022)

ეგზავნება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერს

შიდა აუდიტის სამსახური
2022 წელი

I. შესავალი

1. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 31 დეკემბრის, №ბ74.74213652 ბრძანებით დამტკიცებული, შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმების 2022 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი - ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"

აუდიტის პერიოდი - 2020 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 ივლისამდე.

აუდიტის ჩატარების ვადა - 2022 წლის 28 ნოემბრიდან 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

შიდა აუდიტორები - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტები - ფატი ბარბაქაძე და ლუბა აბესაძე.

შიდა აუდიტის ამოცანა - 2020 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 ივლისამდე პერიოდში ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე გაწეული მუშაობის შესწავლა და ანალიზი.

2. ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესწავლა.

3. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, სატენდერო პროცედურების წარმართვის, შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შესრულების ზედამხედველობის, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის შესაბამისობის აუდიტი.

4. შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

5. ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის აუდიტი.

2. შესამოწმებელ პერიოდში ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“-ს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ (ს/კ 219637926), არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 48-ე მუხლისა და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 21 სექტემბრის №24 განკარგულების საფუძველზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის სფეროდ განსაზღვრულია: გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, მათ შორის ცხოველთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით ღონისძიებების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის. პრევენციული და ეპიდემოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას. ამავე განკარგულებით ცენტრის ხელმძღვანელად (დირექტორად) და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად დაინიშნა მადონა ქასრაძე და დამტკიცდა ცენტრის წესდება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №37 განკარგულებით თანხმობა მიეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ წესდების (ცვლილების) დამტკიცებაზე. ამ განკარგულების საფუძველზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 7 ოქტომბრის №1225 ბრძანებით დამტკიცდა ცენტრის წესდება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის N47 126 ბრძანებით, დამტკიცდა ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“-ს ახალი წესდება (ძალადაკარგულად გამოცხადდა 2014 წლის 07 ოქტომბრის №1225 ბრძანება).

წესდების მიხედვით, ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ (ს/კ 219637926) წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები შესაბამის საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, საანგარიშსწორებო ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

წესდების მიხედვით ცენტრის ძირითადი მიზნებია:

ა) ეპიდზედამხედველობის განხორციელება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში;

ბ) მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოცენების მიზეზთა, რისკ-ფაქტორთა დადგენა;

გ) სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი, ავადობის გრძელი და მოკლე ვადიანი პროგნოზირება;

დ) მოსახლეობის ეპიდკეთილსაიმედო მდგომარეობის შექმნის ხელშეწყობა, გარემოს პროფილურ ფაქტორთა მონიტორინგი;

ე) გადამდები და არაგადამდები დაავადებების მონიტორინგი, ეპიდკონტროლის განხორციელება, მათი აღმოცენების, გავრცელების შეზღუდვა, სათანადო ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზაცია და გატარება;

ვ) სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზაციისა და განხორციელების ხელშეწყობა;

ზ) სამედიცინო დაწესებულებაში ეპიდ.რეჟიმის მონიტორირება და საავადმყოფოს შიდა ინფექციების პროფილაქტიკის ხელშეწყობა;

თ) პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულების ორგანიზაცია და მონიტორინგი;

ი) ცხოვრების ჯანსაღი წესის, მავნე ჩვევათა და საერთო ქცევითი დამოკიდებულების კორექცია ჯანსაღ უნარ-ჩვევათა განვითარების ფორმირებისა და დამკვიდრების მიზნით, ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით და სხვა სპეციფიკური ღონისძიებებით;

კ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. შესაბამისად პროგრამულ ღონისძიებათა პროექტირება, ორგანიზება, განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) ჯანდაცვითი სხვა სოციალური მუნიციპალური პროგრამების პროექტების შედგენასა და დამტკიცებაში მონაწილეობა;

მ) მოსახლეობისა და მიზნობრივ ჯგუფებში (ინვალიდები, მარტოხელა მოქალაქეები, დევნილი მოსახლეობა და სხვა) ფსიქო-სოციალური დახმარების ორგანიზაციის ხელშეწყობა;

ნ) საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგი;

ო) ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური რეჟიმის ორგანიზაციის ხელშეწყობა, მონიტორინგი.

ცენტრის ამოცანებია:

ა) ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა საწინააღმდეგო სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებები-კერების ეპიდემიოლოგიური შესწავლა. დაავადებათა სტატისტიკის მონიტორინგი, სანიტარულ-პროფილაქტიკური სამუშაოები (დეზინფექცია, დეზინსექცია,

დერატიზაცია, კონტაქტირებულთა ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის მასალის აღება), კონტაქტირებულ პირთა აცრებისა და პრევენციული მკურნალობის ორგანიზაცია-ხელშწყობა;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინფორმირება სამოქმედო ტერიტორიაზე მოსალოდნელი ან არსებული ეპიდსიტუაციის გართულების შემთხვევაში;

გ) ეპიდსაწინააღმდეგო შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზაციულ-მმართველობითი გადაწყვეტილებების პროექტირებაში მონაწილეობა;

დ) იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება;

ე) „ცივი ჯაჭვის" სისტემის იმუნოპროფილაქტიკის ბაქტერიულ და ვირუსულ პრეპარატების შენახვასა და ტრანსპორტირებაზე ზედამხედველობა;

ვ) კვებითი მოშხამვების, სასმელი წყლითა და საკვებით გამოწვეულ ეპიდაფეთქებათა კვლევების ხელშეწყობა;

ზ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხელველობა; მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ პირთა მიერ, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 3^1 და 3^2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი;

ი) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

კ) სამოქმედო ტერიტორიაზე ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჯანსაღი უნარ-ჩვევების და ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებების დამკვიდრება.

ცენტრი უფლებამოსილია: საკუთარი სახელით განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობები, დადოს გარიგებები, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ; მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების საფუძველზე განკარგოს მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება, ფინანსური სახსრები, მატერიალური და არამატერიალური აქტივები; კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე შეიმუშაოს წინადადებები და დასკვნები და წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს; უფლებამოსილების ფარგლებში მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი წესით მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან; თავისუფლად გაავრცელოს ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ; ცენტრის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები; მართლზომიერად მოიძიოს დაფინანსების წყაროები; დაამყაროს კავშირები და ითანამშრომლოს კერძო სამართლის

იურიდიულ პირებთან; ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი ხმარდება მხოლოდ ცენტრის მიზნების რეალიზებას; დასახული მიზნების მისაღწევად განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, ხოლო იმ საქმიანობას, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია ლიცენზია/ნებართვა განახორციელოს მხოლოდ ლიცენზია/ნებართვის მიღების შემდეგ.

ცენტრს მხოლოდ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით შეუძლია: ქონების გასხვისება და უფლებით დატვირთვა; სესხის აღება; თავდებობა; დაფინანსების პროგრამის, საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა სახელფასო ანაზღაურების დამტკიცება; ფილიალის დაფუძნება; სხვა გადაწყვეტილებების მიღება ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ის სცილდება ცენტრის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

წესდების მიხედვით ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი. ცენტრის იურიდიული მისამართია ქ. ტყიბული კარლო ლომაძის მოედანი №3.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 ივნისის №48 განკარგულებით დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და ა.(ა).ი.პ. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს შორის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულის მარცხენა ფლიგელში არსებული 170,72 კვ.მ. ფართის გადაცემის შესახებ.

ცენტრის დაფინანსების წყაროა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები (დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე); პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსებიდან მიღებული თანხები; ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან და/ან მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი; კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალები; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

II. ძირითადი რისკები

1. სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში, ერთი დაფინანსების წყაროდან დაგეგმილი შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების CPV კოდების დაყოფა, აჩენს რისკებს მონეტარული ზღვრების დაცვის თავის არიდების თვალსაზრისით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ იქნება იდენტიფიცირებული მისაწოდებელი საქონლის სახეობა, მოცულობა, რაოდენობა და სხვა პარამეტრები, იარსებებს რისკი მიწოდების კეთილსინდისიერების თვალსაზრისით. შესაბამისად, ვერ მოხერხდება არაკეთილსინდისიერი მომწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება.

3. სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, აჩენს რისკებს ამ მომსახურების რეალობის დადგენის თვალსაზრისით.

4. სამეურნეო საქონლის/მასალების შესყიდვების დროს, დეფექტური/შესრულებული სამუშაოს აქტების არ შედგენამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს აქტივების ხარჯვის კანონიერებაზე.

5. თანამდებობრივი სარგოს მუხლის, საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ოდენობზე მეტი სიდიდით დაგეგმვამ, შესაძლოა უარყოფით გავლენა იქონიოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებაზე და გამოიწვიოს სამოქმედო პროცესების საქმიანობის შესახებ მცდარი ინფორმაციის ჩამოყალიბება.

6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის შეუსაბამოდ, ინვენტარიზაციის ჩატარებამ, შესაძლოა უარყოფითი შედეგი იქონიოს დაწესებულების ბალანსზე რიცხული ფინანსური აქტივების დაცულობაზე, მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების დადგენაზე, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტიურ ნაშთებსა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემების სისწორეზე.

7. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციით დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის, 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის არ წარმოებამ, დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაუცველობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ მცდარი ინფორმაციის ჩამოყალიბება.

8. ინფექციურ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების პროცესში თანამშრომლების არაორგანიზებულად ჩართვამ, არათანაბარწილად, ფუნქცია-მოვალეობების შეუსაბამოდ, დავალებების გადანაწილებამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პროცესის წარმატებით განხორციელებაზე.

III. ძირითადი აუდიტორული მიგნებები

შესამოწმებელ პერიოდში, ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე, დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების თავდაპირველი წლიური გეგმები დამტკიცებული არ იყო უფლებამოსილი პირის მიერ. ცენტრის დირექტორს, მხოლოდ გეგმაში განხორციელებულ ცვლილებებზე აქვს ბრძანებები გამოცემული. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი"-ს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და ამ წესის მიხედვით რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად".

ცენტრის დაფინანსების წყაროა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები (დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე), პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსებიდან მიღებული თანხები. შესაბამისად დაფინანსების წყაროების გათვალისწინებით შესაძლებელია ერთგვაროვანი ობიექტების დაყოფა მოახდინოს ორ ნაწილად. თუმცა ცენტრს, 2020-2021-2022 წლების სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმებში, ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვების CPV კოდები დამატებული აქვს დადებული ხელშეკრულებისა და პროგრამების მიხედვით. მაგალითად, CPV 60100000 გეგმაში ჩაწერილია ხუთჯერ, პირველი 2019 წლის 14 ნოემბერს, კორექტირებული ღირებულებით -1650 ლარით; მეორე ჩანაწერი დამატებულია 07 ივლისს 78,45 ლარით; მესამე ჩანაწერია 17 აგვისტოს - 105,9 ლარით; მეოთხე - 08 სექტემბერს 47,1 ლარით; მეხუთე დამატებულია 09 ოქტომბერს -26,25 ლარით. გეგმაში ყველა ჩანაწერი დამატებულია დადებული ხელშეკრულებების ღირებულების გათვალისწინებით (წლის განმავლობაში აღნიშნული კოდით შესყიდვაზე დადებულია ხუთი

ხელშეკრულება). ყველა შემთხვევაში შესყიდვის დაფინანსების წყაროდ მითითებულია ადგილობრივი ბიუჯეტი. ე.ი. აღნიშნული კოდით, ერთგვაროვანი შესყიდვა ხორციელდება ერთი დაფინანსების წყაროდან და უნდა მომხდარიყო გეგმაში ერთი ჩანაწერის შეტანა და საჭიროების შემთხვევაში გეგმის ღირებულების ცვლილება და არა დადებული ხელშეკრულებების ღირებულების მიხედვით, სათითაოდ დამატება. ანალოგიურად არის საკუთარი სახსრებით განხორციელებული შესყიდვების შემთხვევაშიც. CPV 30100000 გეგმაში, დადებული ხელშეკრულებების ღირებულებების მიხედვით, ჩაწერილია 8-ჯერ, აქედან 5-ს დაფინანსების წყარო მითითებული აქვს ადგილობრივი ბიუჯეტი, ხოლო 3-ს საკუთარი სახსრები.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებების უმეტესობა შევსებულია ბუნდოვნად, შესყიდვის ობიექტში მითითებულია მხოლოდ CPV კოდების დასახელება, მათში არ არის მითითებული შესასყიდი ობიექტის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და პარამეტრები, ხელშეკრულებებს არც დანართები არ ახლავს. მიმწოდებლის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებებით ან მიღება-ჩაბარების აქტებით არის გასაგები კონრეტულად რისი შესყიდვა განხორციელდა. საჭიროების შემთხვევაში არ არის შედგენილი დეფექტური/შესრულებული სამუშაოს აქტები.

ცენტრს, შესამოწმებელ პერიოდში, განსახორციელებელი ღონისძიებები (მუნიციპალური პროგრამა), პროგრამის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო ნუსხა დამტკიცებული აქვს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით. ცენტრის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული განსახორციელებელი სავალდებულო ღონისძიებები ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად სრულდება სამოქმედო პროგრამის შესაბამისად.

ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი" საკუთარ შემოსავლებს გეგმავდა არა მოსალოდნელი, არამედ ფაქტიურად მიღებული შემოსავლების საფუძველზე, რაც ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში ხშირ ცვლილებებს იწვევდა. სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ბიუჯეტის ცვლილებების შესაბამისად იგეგმებოდა.

შესამოწმებელ პერიოდში (01.01.2020-30.06.2022წწ), ცენტრს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიიდან ფაქტიურად გახარჯული აქვს 216505 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების სახით მიღებული და გახარჯული აქვს 107116 ლარი, ჯამში, 323621 ლარი. აქედან, 289576,7 ლარი, შემოსავლების 90 % გაცემულია შრომის ანაზღაურებაზე; მივლინებაზე გაიხარჯა - 1615 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 4517,6 ლარი; 4000 ლარი გადახდილია საწევრო შენატანი, „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია"-ს მიერ, ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში; 323,1-კომუნალური გადასახადი; 23421,8 ლარის შესყიდვები განხორციელდა; ხოლო 2022 წელში, 166,8 ლარი - გადახდილია ჯარიმა, მუნიციპალურ დონეზე არსებული ს.ჯ.დ. ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-თან 2021 წლის 26 იანვარს დადებული N106 ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

შესამოწმებელ პერიოდში, მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან, 107116 ლარიდან, 104691,9 ლარი, მიღებული საკუთარი შემოსავლების 98%, გაცემულია სახელფასო დანამატის სახით.

ცენტრს, მომსახურებით მიღებული შემოსავლებიდან, დირექტორის ბრძანებების საფუძველზე თანამშრომლებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურება დაგეგმილი და გახარჯული აქვს შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლით. საქართველოს კანონი - „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ", განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგო არის - „არსებული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის განსაზღვრული ყოველთვიური ანაზღაურება, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი საშტატო ნუსხით ან განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით". ამავე კანონის მიხედვით, „დასაქმებული პირის მიერ, ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრული თანხა" - არის სახელფასო დანამატი. გამომდინარე აქედან, მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან თანამშრომლებზე, დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის გაცემული სახელფასო ანაზღაურება შეესაბამება სახელფასო დანამატს და არა თანამდებობრივი სარგოს, შესაბამისად მისი ასახვა არ უნდა მომხდარიყო თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N44 ბრძანებით, „ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალიწინებით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობის რისკის შემცველი სამუშაოს პირობებში განხორციელებული საქმიანობისათვის", გაცემული იქნა დანამატი, 1700 ლარი, ცენტრის ხუთ თანამშრომელზე სხვადასხვა ოდენობით, თუმცა სახელფასო დანამატის გაანგარიშება რის საფუძველზე მოხდა ბრძანებაში მითითებული არ არის.

2021 წელში ცენტრს, მერთან შეთანხმებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით, საკუთარი შემოსავლები დაგეგმილი ჰქონდა მხოლოდ ორი მუხლით, შრომის ანაზღაურება - 68723 ლარით და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 1884 ლარით (ჯამში 70607 ლარი). ფაქტიურად კი, საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელებულია შესყიდვებიც, რაც შესაბამისად უნდა ყოფილიყო ბიუჯეტში გათვალისწინებული (სახაზინო ამონაწერის მიხედვით, საკუთარი შემოსავლებიდან ჯამში 1018,75 ლარის შესყიდვაა განხორციელებული).

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრს, სახაზინო ამონაწერის მიხედვით, ჯამში 1690,60 ლარის ოდენობით (2020-2021-2022 წწ), გაწეული აქვს სოციალური დახმარება. აღნიშნული ხარჯი ბიუჯეტის არც თავდაპირველ გეგმაში ყოფილა გათვალისწინებული და არც წლის განმავლობაში შესულა ცვლილება, ფაქტიურად გაწეული სოციალური ხარჯების შესაბამისად. სოციალურ დახმარებაზე (საავადმყოფო ფურცელი) გაცემული თანხა ხარჯებში ასახულია შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

ცენტრის დირექტორს, 2021 წლის 16 თებერვლის N10 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ცენტრს 2021 წელში, ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოები საერთოდ არ აქვს, არ არის მემორიალური ორდერები და ჟურნალი-მთავარი. ცენტრმა წარმოადგინა 2021 წლის ბალანსი, რომელიც შედგენილია ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია"-ს მიერ, ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

ცენტრს, 2022 წელში, ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია“-სთან, 2021 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გადახდილი აქვს 4000 ლარი საწევრო გადასახადი. მემორანდუმის მიხედვით, ასოციაციის საქმიანობის სფეროში შედის კორპორატიულ წევრს „გაუწიოს დახმარება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაში“; „გაუწიოს დახმარება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებაში და მის ავტომატიზაციაში“; მიუხედავად ამისა, ცენტრს 2022 წელში ბუღალტრული აღრიცხვა ისევ არ აქვს ნაწარმოები, არ არის მემორიალური ორდერები და ჟურნალი-მთავარი.

ცენტრის დირექტორის „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს შექმნილი აქვს საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს „სამსახურის ბალანსზე არსებული, ასევე დროებით სარგებლობაში გადაცემული ინვენტარის აღწერა“ და საჭიროების შემთხვევაში მცირეფასიანი უვარგისი ინვენტარის ჩამოწერა სათანადო წესით. „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების 1.3 მუხლის მიხედვით, „ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზირებული ძირითადი აქტივები“. ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ ბრძანებაში არაფერია ნათქვამი მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციაზე, შესაბამისად კომისიის მიერ მატერიალური მარაგების შედარების უწყისებიც არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას, ხდება დამოუკიდებლად, ვაქცინების ლოჯისტიკაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ხოლო წლის განმავლობაში, დირექტორის ბრძანებებით შექმნილი კომისიის მიერ, ხდება ვადაგასული შრატების ჩამოწერა.

ცენტრის მიერ, განსახორციელებელი სავალდებულო ღონისძიებები ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად, სრულდება ყოველწლიურად დამტკიცებული სამოქმედო პროგრამების შესაბამისად.

ა.ა.ი.პ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი”-ს უმთავრესი ფუნქცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო ეპიდსიტუაციის შენარჩუნებაა, რაც ინფექციურ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების სისტემატიურად გატარების საფუძველზე მიიღწევა.

IV. რეკომენდაციები

1. წლის დასაწყისში შესყიდვები დაიგეგმოს და განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–9 მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, "შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან, გარდა ამ მუხლის 3[1] პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომელიც დადგენილია ამ კანონით."

2. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს, მეტი ყურადღება დაეთმოს ხელშეკრულების გაფორმების სიზუსტეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი შევსებული იქნას სრულად და გასაგებად.

3. სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს სამართლებრივი საფუძვლით და მომსახურეობის დოკუმენტურად სრულყოფილად ასახვის მიზნით, მომსახურეობის დასრულებისას შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მიეთითოს შესყიდვის საფუძველი.

4. განხორციელებული სამეურნეო საქონლის/მასალების შესყიდვის შემთხვევაში შედგეს დეფექტური/შესრულებული სამუშაოს აქტი, რომლითაც გასაგები იქნება შესყიდვის საჭიროება და ხარჯვის რეალობა.

5. ცენტრმა, მომსახურების ფარგლებში, თანმშრომლებისათვის დამატებითი ფუნქციების დაკისრების შემთხვევაში, სახელფასო ანაზღაურების გაცემის დროს, იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით - საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ.

6. ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სოციალური დახმარების ხარჯები და ამ მუხლიდან მოხდეს საავადმყოფო ფურცელზე მყოფი თანამშრომლებისათვის გადასახდელი თანხების ანაზღაურება.

7. ცენტრმა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად ჩაატაროს ინვენტარიზაცია.

8. ცენტრმა საკუთარი შემოსავლები დაგეგმოს რეალურ გათვლებზე დაყრდნობით და ხარჯვა განახორციელოს დაგეგმილი ბიუჯეტის შესაბამისად.

9. ცენტრმა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციით დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა

მინისტრის, 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა.

10. ცენტრმა ნაერთი ბიუჯეტის გეგმა შეადგინოს საკუთარი შემოსავლების გეგმის გათვალისწინებით.

11. ინფექციურ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების პროცესში მოხდეს თანამშრომლების ორგანიზებულად ჩართვა, ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, განხორციელდეს დავალებების თანაბარწილად გადანაწილება.

V. დეტალური ინფორმაცია მიგნებების შესახებ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 დეკემბრის №ბ74.74213652 ბრძანებით დამტკიცებული, შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმების 2022 წლის წლიური გეგმის მიხედვით, ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტების - ფატი ბარბაქაძისა და ლუბა აბესაძის მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, ჩატარდა 2020 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 ივლისამდე პერიოდის აუდიტორული შემოწმება. შემოწმების პერიოდში ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ: ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“-ს დირექტორი მადონა ქასრაძე და ცენტრის ბუღალტერი თამარ გოგლიძე.

ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში აუდიტორული შემოწმება ჩატარდა 2016 წელში, შემოწმდა 2013 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდი.

3. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, შესყიდვების პროცედურების წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, სატენდერო პროცედურების წარმართვის, შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შესრულების ზედამხედველობის, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის შესაბამისობის აუდიტი

2020 წელი

ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს, 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენილი აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა დამტკიცებული არ არის უფლებამოსილი პირის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული, „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი"-ს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და ამ წესის მიხედვით რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად".

ცენტრის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული, 2020 წლის შესყიდვების წლიური გეგმის თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 3210 ლარს, წლის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა გეგმის ღირებულება, საბოლოოდ კი გეგმის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 5010 ლარი. გეგმაში ცვლილებები განხორციელებულია დირექტორის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრს, სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვების CPV კოდები დამატებული აქვს ცალ-ცალკე, დადებული ხელშეკრულებისა და პროგრამების მიხედვით. მაგალითად, CPV 60100000 გეგმაში ჩაწერილია ხუთჯერ, პირველი 2019 წლის 14 ნოემბერს, კორექტირებული ღირებულებით -1650 ლარით; მე-2 ჩანაწერი დამატებულია 07 ივლისს 78,45 ლარით; მე-3 ჩანაწერია 17 აგვისტოს - 105,9 ლარით; მე-4 ჩანაწერი 08 სექტემბერს 47,1 ლარით; მე-5 დამატებულია 09 ოქტომბერს -26,25 ლარით. გეგმაში ყველა ჩანაწერი დამატებულია დადებული ხელშეკრულებების ღირებულების გათვალისწინებით (წლის განმავლობაში აღნიშნული კოდით შესყიდვაზე დადებულია ხუთი ხელშეკრულება). ყველა შემთხვევაში, შესყიდვის დაფინანსების წყაროდ მითითებულია ადგილობრივი ბიუჯეტი. ე.ი. აღნიშნული კოდით, ერთგვაროვანი შესყიდვა ხორციელდება ერთი დაფინანსების წყაროდან და უნდა მომხდარიყო გეგმაში ერთი ჩანაწერის შეტანა და საჭიროების შემთხვევაში ღირებულების ცვლილება და არა დადებული ხელშეკრულებების ღირებულების მიხედვით, სათითაოდ დამატება. ანალოგიურად არის საკუთარი სახსრებით განხორციელებული შესყიდვების შემთხვევაშიც. CPV 30100000 გეგმაში, დადებული ხელშეკრულებების ღირებულებების მიხედვით, ჩაწერილია 8-ჯერ, აქედან 5-ს დაფინანსების წყარო მითითებული აქვს ადგილობრივი ბიუჯეტი, ხოლო 3-ს საკუთარი სახსრები. ცენტრს აქვს ორი დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები, შესაბამისად დაფინანსების წყაროების მიხედვით, შესაძლებელია ერთგვაროვანი ობიექტების დაყოფა მოახდინოს დაფინანსების ორი წყაროს მიხედვით.

რისკი - სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში, ერთი დაფინანსების წყაროდან დაგეგმილი შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების CPV კოდების დაყოფა, აჩენს რისკებს მონეტარული ზღვრების დაცვის თავის არიდების თვალსაზრისით.

რეკომენდაცია - წლის დასაწყისში შესყიდვები დაიგეგმოს და განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–9 მუხლის მე–3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლის თანახმად "შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან, გარდა ამ მუხლის 3[1] პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომელიც დადგენილია ამ კანონით."

2020 წელში, სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე დარეგისტრირებულია 37 (აქედან, ორი კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში) ხელშეკრულება, საერთო ჯამური ღირებულებით 4980,29 ლარი. ფაქტიურად, განხორციელებულია 4929,29 ლარის შესყიდვა. წარმოდგენილია შესყიდვის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებების უმეტესობა შევსებულია ბუნდოვნად, შესყიდვის ობიექტში მითითებულია მხოლოდ CPV კოდების დასახელება, მათში არ არის მითითებული შესასყიდი ობიექტის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და პარამეტრები, ხელშეკრულებებს არც დანართები არ ახლავს. მიმწოდებლის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებებით ან მიღება-ჩაბარების აქტებით არის გასაგები რისი შესყიდვა განხორციელდა. მაგალითად, 2020 წლის 15 იანვარს, დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2 ხელშეკრულება, ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-სა და შ.პ.ს. „მერანი"-ს შორის, ხელშეკრულების საგანია ბეჭდვითი მომსახურება, ღირებულება 9 ლარი. კონკრეტულად რა ბეჭდვითი მომსახურება უნდა გასწიოს მიმწოდებელმა მითითებული არ არის. მხარეებს შორის, 2020 წლის 17 იანვარს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ გაწეულია მომსახურება აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში. მხოლოდ მიმწოდებლის მიერ გამოწერილი Nელ-0501871915 სასაქონლო ზედნადებით არის გასაგები, რომ შეძენილია 1ც სარეგისტრაციო ჟურნალი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასაქონლო ზედნადები გამოწერილია 2020 წლის 09 იანვარს, ხელშეკრულების გაფორმებამდე, შემდეგ დაკორექტირებულია, საქონლის ჩაბარების თარიღი მითითებულია 2020 წლის 20 იანვარი, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ.

2020 წლის 01 სექტემბერს დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №14 ხელშეკრულება ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-სა და შ.პ.ს. „ბჟოლები"-ს შორის, ხელშეკრულების საგანია პირადი ჰიგიენის პროდუქტების მიწოდება, ღირებულება 100 ლარი. კონკრეტულად რა პროდუქტები უნდა მიაწოდოს მიმწოდებელმა მითითებული არ არის. 2020 წლის 02 სექტემბერს შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ მიწოდებულია 100 ლარის ღირებულების სადეზინფექციო ხსნარი.

მიმწოდებლის მიერ გამოწერილი N0ელ-0544204467 სასაქონლო ზედნადებით არის გასაგები, რომ შეძენილია სხვადასხვა დასახელების და ღირებულების სადეზინფექციო ხსნარი (სულ 4 ც).

რისკი - იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებაში არ იქნება იდენტიფიცირებული მისაწოდებელი საქონლის სახეობა, მოცულობა, რაოდენობა და სხვა პარამეტრები, ყოველთვის იარსებებს რისკი მიწოდების კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, შესაბამისად ვერ მოხერხდება არაკეთილსინდისიერი მომწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება.

რეკომენდაცია - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს, მეტი ყურადღება დაეთმოს ხელშეკრულების გაფორმების სიზუსტეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი შევსებული იქნას სრულად და გასაგებად.

2020 წლის 06 იანვარს დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1 ხელშეკრულება ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-სა და ი/მ „გოჩა რობაქიძე"-ს შორის, ხელშეკრულების საგანია - მსუბუქი ავტომობილით მომსახურება. ხელშეკრულება შედგენილია ბუნდოვნად, მასში არ ჩანს რა დანიშნულებით ხორციელდება ტრანსპორტის დაქირავება მძღოლთან ერთად, არ არის მითითებული სატრანსპორტო საშუალების მარკა, მითითებულია მხოლოდ ა/მანქანის ნომერი - VLV 936. ასევე, არ არის განსაზღვრული რის საფუძველზე მოხდებოდა ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშება. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 1600 ლარს, 2020 წლის 17 დეკემბერს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ღირებულება გაიზარდა 1650 ლარამდე. მიმწოდებელს ანაზღაურებული აქვს 1650 ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების მიღებაზე, მხარეებს შორის შედგენილია ჯამში 38 მიღება-ჩაბარების აქტი, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 1780 ლარს, 130 ლარით მეტი, ვიდრე ხელშეკრულების ღირებულებაა. მიმწოდებელს ანაზღაურებული აქვს 1650 ლარი, თუ არ განხორციელებულა 1780 ლარის ღირებულების მომსახურების მიწოდება, გაუგებარია მხარეებს შორის რატომ მოხდა აღნიშნული რაოდენობის ღირებულებით მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია ბუნდოვნად, მათში მითითებულია მხოლოდ ტრანსპორტის გადაადგილების მიმართულება და ასანაზღაურებელი თანხა. მაგალითად, 2020 წლის 05 თებერვალს შედგენილ, N3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ N1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებულმა მომსახურებამ შეადგინა 50 ლარი, ტრანსპორტი გადაადგილდებოდა ტყიბული-ქუთაისის მიმართულებით. 2020 წლის 13 აპრილის N10 მიღება-ჩაბარების აქტით, N1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებულმა მომსახურებამ შეადგინა 35 ლარი, ტრანსპორტი გადაადგილდებოდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. 2020 წლის 18 დეკემბერს შედგენილია N35 აქტი, რომელშიც მხოლოდ მომსახურების ღირებულებაა მითითებული - 180 ლარი, ხოლო რა მიმართულებით გადაადგილდებოდა ტრანსპორტი მითითებული საერთოდ არ არის. ანალოგიურად არის შევსებული ყველა დანარჩენი აქტები. არ არის წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი ტრანსპორტით მომსახურების საჭიროებაზე. ცენტრის განმარტებით, სატრანსპორტო მომსახურებას ცენტრი იყენებს მივლინებებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამსახურეობრივი მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, თუმცა როგორც უკვე ავღნიშნეთ, არცერთ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული არ არის რა მიზნით

გადაადგილდებოდა ტრანსპორტი, ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი რომლითაც გასაგები იქნებოდა ტრანსპორტის მომსახურების საჭიროება, შედგენილი არ არის. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ტყიბული-ქუთაისის მიმართულებით, სატრანსპორტო მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტებისა და სამივლინებო ბარათების თარიღები ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა ან მივლინების პერიოდში ტრანსპორტის მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი საერთოდ არ არის შედგენილი. მაგალითად, ცენტრის დირექტორი, 2020 წლის 07, 13, 22 და 28 მაისს (N34, N36, N37, N38 ბრძანებები), მივლინებით ნამყოფია ქალაქ ქუთაისში, წარმოდგენილია შესაბამისი სამივლინებო ბარათები, სამივლინებო თანხა ანაზღაურებულია მხოლოდ დღიური გაანგარიშებით, სამივლინებო ბარათზე მითითებული არ არის რომელი ტრანსპორტით ისარგებლა მივლინებულმა პირმა. ი/მ გოჩა რობაქიძესთან, სატრანსპორტო მომსახურებაზე მაისის თვეში ქუთაისის მიმართულებით, შედგენილია მხოლოდ ერთი მიღება-ჩაბარების აქტი N12, 2020 წლის 07 მაისს. ასევე, დირექტორი, 2020 წლის 05, 15, 19, 22 და 29 ივნისს ნამყოფია ქალაქ ქუთაისში მივლინებით (N41, N46, N47, N48, N51 ბრძანებები) წარმოდგენილია შესაბამისი სამივლინებო ბარათები, სამივლინებო თანხა ანაზღაურებულია მხოლოდ დღიური გაანგარიშებით, რაც შეეხება სატრანსპორტო მომსახურებას ი/მ გოჩა რობაქიძესთან, სატრანსპორტო მომსახურებაზე ივნისის თვეში ქუთაისის მიმართულებით, შედგენილი საერთოდ არ არის. ან პირიქით, ტყიბული-ქუთაისის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურებაზე N20 მიღება-ჩაბარების აქტი, შედგენილია 2020 წლის 20 სექტემბერს თუმცა მივლინება ამ პერიოდში არ ყოფილა. ჯამში, N1 ხელშეკრულების ფარგლებში, მხოლოდ ტყიბული-ქუთაისის მიმართულებით მომსახურებაზე მხარეებს შორის შედგენილია 21 მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო წლის განმავლობაში 31 მივლინებაა ქუთაისში ისე, რომ არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ღირებულება ანაზღაურებული და არც სატრანსპორტო საშუალებაა მითითებული.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე მიმწოდებელთან, ი/მ გოჩა რობაქიძე, სატრანსპორტო მომსახურებაზე, 2020 წლის განმავლობაში ცენტრს დადებული აქვს კიდევ 4 ხელშეკრულება, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ყველა ხელშეკრულება შედგენილია ბუნდოვნად, ხელშეკრულებების მიხედვით გაურკვეველია რა მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო ტრანსპორტის გადაადგილება. ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ ა/მანქანის ნომერი - VLV 936. ყველა შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებში, გადაადგილების მიმართულება მითითებულია მუნიციპალიტეტის თემის სოფლები.

რისკი - სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, აჩენს რისკებს ამ მომსახურების რეალობის დადგენის თვალსაზრისით.

რეკომენდაცია - სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს სამართლებრივი საფუძვლით და მომსახურეობის დოკუმენტურად სრულყოფილად ასახვის მიზნით, მომსახურეობის დასრულებისას შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მიეთითოს შესყიდვის სამართლებრივი საფუძველი.

2021 წელი

ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“-ს, 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენილია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა დამტკიცებული არ არის უფლებამოსილი პირის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და ამ წესის მიხედვით რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად”.

2021 წლის 21 იანვარს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის N3 ბრძანებით დამტკიცდა ცენტრის მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილი ბიუჯეტი. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4′ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, სააგენტოსთვის წარდგენილია შესყიდვების გეგმის ცვლილება თუმცა არც ამ შემთხვევაშია გეგმა დამტკიცებული დირექტორის მიერ. ცენტრის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული, 2021 წლის შესყიდვების წლიური გეგმის თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 3940 ლარს, წლის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა გეგმის ღირებულება, საბოლოოდ შეადგინა 13177 ლარი. გეგმაში შემდგომი ცვლილებები განხორციელებულია დირექტორის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე. 2020 წლის მსგავსად, ცენტრს, სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვების CPV კოდები დამატებული აქვს ცალ-ცალკე, დადებული ხელშეკრულებისა და პროგრამების მიხედვით. მაგალითად, CPV60100000 გეგმაში ჩაწერილია ხუთჯერ, პირველი 2020 წლის 18 ნოემბერს, კორექტირებული ღირებულებით - 4080 ლარით; მე-2 ჩანაწერი დამატებულია 20 მაისს 117,75 ლარით; მე-3 ჩანაწერია 03 ივნისს - 37,95 ლარით; მე-4 ჩანაწერი 09 ივლისს - 63,9 ლარით; მე-5 დამატებულია 05 აგვისტოს - 33 ლარით. გეგმაში ყველა ჩანაწერი დამატებულია დადებული ხელშეკრულებების ღირებულების გათვალისწინებით (წლის განმავლობაში აღნიშნული კოდით შესყიდვაზე დადებულია ხუთი ხელშეკრულება). ყველა შემთხვევაში შესყიდვის დაფინანსების წყაროდ მითითებულია ადგილობრივი ბიუჯეტი. ე.ი. აღნიშნული კოდით, ერთგვაროვანი შესყიდვა ხორციელდება ერთი დაფინანსების წყაროდან და უნდა მომხდარიყო გეგმაში ერთი ჩანაწერის შეტანა და საჭიროების შემთხვევაში ღირებულების ცვლილება და არა დადებული ხელშეკრულებების ღირებულების მიხედვით, სათითაოდ დამატება. ანალოგიურად არის საკუთარი სახსრებით განხორციელებული შესყიდვების შემთხვევაშიც. ცენტრს აქვს ორი დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები, შესაბამისად დაფინანსების წყაროების გათვალისინებით, შესაძლებელია ერთგვაროვანი ობიექტების დაყოფა მოახდინოს დაფინანსების ორი წყაროს მიხედვით.

2021 წელში სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე დარეგისტრირებულია 38 ხელშეკრულება (აქედან, 6 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში), საერთო ჯამური ღირებულებით 13224.85 ლარი. ფაქტიურად განხორციელებულია 13088.45 ლარის შესყიდვა. წარმოდგენილია შესყიდვის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი, თუმცა 2020 წლის მსგავსად, ხელშეკრულებების უმეტესობა შევსებულია ბუნდოვნად,

შესყიდვის ობიექტში მითითებულია მხოლოდ CPV კოდების დასახელება, მათში არ არის მითითებული შესასყიდი ობიექტის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და პარამეტრები, ხელშეკრულებებს არც დანართები არ ახლავს. მიმწოდებლის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებებით ან მიღება-ჩაბარების აქტებით არის გასაგები რისი შესყიდვა განხორციელდა. 2021 წლის 10 მარტს დადებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N8 ხელშეკრულება, შპს „ბაბი"-სთან. ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის შეძენა CPV44100000, ღირებულება 48,50 ლარი. მიმწოდებლის მიერ გამოწერილი Nელ- 0579511213 სასაქონლო ზედნადებითა და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, შესყიდულია მილი 4 მეტრი, ქურო, ონკანი და თბოიზოლაცია 4 მეტრი. ასევე გაუგებარია სად იქნა გამოყენებული შესყიდული საქონელი, არ არის შედგენილი დეფექტური და შესრულებული სამუშაოს აქტები.

2020 წლის მსგავსად, 2021 წელშიც, რამდენიმე ხელშეკრულებაა დადებული ი/მ „გოჩა რობაქიძე"-სთან, მსუბუქი ავტომობილით მომსახურების შესყიდვაზე. ხელშეკრულებში არ ჩანს რა დანიშნულებით ხორციელდება ტრანსპორტის დაქირავება მძღოლთან ერთად, არ არის მითითებული სატრანსპორტო საშუალების მარკა, მითითებულია მხოლოდ ა/მანქანის ნომერი. არ არის განსაზღვრული რის საფუძველზე ხდებოდა ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშება. მაგალითად, 2021 წლის 22 იანვარს დადებულია N2 ხელშეკრულება, რომლის საგანია მსუბუქი ავტომობილით მომსახურება, CPV60100000. ხელშეკრულებაში არ ჩანს რა დანიშნულებით ხორციელდება ტრანსპორტის დაქირავება მძღოლთან ერთად, მითითებულია მხოლოდ ა/მანქანის ნომერი - VLV 936. ასევე, არ არის განსაზღვრული რის საფუძველზე მოხდებოდა ასანაზღაურებელი თანხის გაანგარიშება. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 4580 ლარს, 2021 წლის 21 დეკემბერს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ღირებულება შემცირდა 4130 ლარამდე. მიმწოდებელს ანაზღაურებული აქვს 4030 ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების მიღებაზე, მხარეებს შორის შედგენილია ჯამში 81 მიღება-ჩაბარების აქტი. უნდა აღინიშნოს, რომ მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია ბუნდოვნად, მათში მითითებულია მხოლოდ ტრანსპორტის გადაადგილების მიმართულება და ასანაზღაურებელი თანხა. მაგალითად, 2021 წლის 25 იანვარს შედგენილ, N1 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ N2 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებულმა მომსახურებამ შეადგინა 50 ლარი, ტრანსპორტი გადაადგილდებოდა ტყიბული-ქუთაისის მიმართულებით. 2021 წლის 12 ნოემბერს შედგენილი N63 აქტით, ტრანსპორტი გადაადგილდებოდა ტყიბული-სოჩხეთი-ძმუისი-გურნა-ციხია-ჯვარისას მიმართულებით, მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 120 ლარი. ანალოგიურად არის შევსებული ყველა დანარჩენი აქტები. ცენტრის განმარტებით, სატრანსპორტო მომსახურებას ცენტრი იყენებს მივლინებებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამსახურეობრივი მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, თუმცა როგორც უკვე ავღნიშნეთ, არცერთ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული არ არის რა მიზნით გადაადგილდებოდა ტრანსპორტი, ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც გასაგები იქნებოდა ტრანსპორტის მომსახურების საჭიროება, შედგენილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ტყიბული-ქუთაისის მიმართულებით, სატრანსპორტო მომსახურებაზე შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, თუმცა ამ პერიოდისათვის ცენტრში არ განხორციელებულა მივლინება. ი/მ გოჩა რობაქიძესთან, სატრანსპორტო მომსახურებაზე, 2021 წლის 30 აპრილს N11, 13 მაისის N13, 11 ივლისის N21 და 28 ივლისის N23 მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, მომსახურება განხორციელებულია ტყიბული-ქუთაისის მიმართულებით,

თუმცა აღნიშნულ დღეებში არ ყოფილა გამოცემული ბრძანება მივლინების შესახებ. არის შემთხვევები პირიქით, როდესაც დირექტორის ბრძანებებით განხორციელებულია მივლინება, წარმოდგენილია შესაბამისი სამივლინებო ბარათები, სამივლინებო თანხა ანაზღაურებულია მხოლოდ დღიური გაანგარიშებით, თუმცა ტრანსპორტის მომსახურებაზე არ არის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები (დირექტორის, 2021 წლის 15 მარტის N20, 10 ივნისის N52, 16 ივნისის N55, 17 ივნისის N56 ბრძანებები).

2022 წელი

ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს, წინა წლების მსგავსად, 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენილი აქვს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, 8360 ლარის ღირებულებით, თუმცა დამტკიცებული არ არის უფლებამოსილი პირის მიერ. 2022 წლის 25 იანვარს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის N8 ბრძანებით დამტკიცდა ცენტრის მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილი ბიუჯეტი. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-4′ პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, სააგენტოსთვის წარდგენილია შესყიდვების გეგმის ცვლილება თუმცა არც ამ შემთხვევაშია გეგმა დამტკიცებული დირექტორის მიერ. 2022 წლის შესამოწმებელ პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა გეგმის ღირებულება, 2022 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 6201 ლარს. წინა წლების მსგავსად, ცენტრს, სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვების CPV კოდები დამატებული აქვს ცალ-ცალკე, დადებული ხელშეკრულებისა და პროგრამების მიხედვით.

2022 წლის შესამოწმებელ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე 01.01.2022-30.06.2022 წლის პერიოდში დარეგისტრირებულია 13 ხელშეკრულება (აქედან, 3 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში), საერთო ჯამური ღირებულებით 4481,8 ლარი. წარმოდგენილია შესყიდვის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი, თუმცა წინა წლების მსგავსად, ხელშეკრულებების უმეტესობა შევსებულია ბუნდოვნად, შესყიდვის ობიექტში მითითებულია მხოლოდ CPV კოდების დასახელება, მათში არ არის მითითებული შესასყიდი ობიექტის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და პარამეტრები, ხელშეკრულებებს არც დანართები არ ახლავს. მიმწოდებლის მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებებით ან მიღება-ჩაბარების აქტებით არის გასაგები რისი შესყიდვა განხორციელდა.

2022 წლის 27 იანვარს, ი/მ „ალექსანდრე პატარიძე"-სთან დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N6 ხელშეკრულება, რომლის საგანია - ოფისისთვის საჭირო მასალის შეძენა (CPV44100000, CPV24900000, CPV39200000), ღირებულებით 236 ლარი. ხელშეკრულებაში არ ჩანს, კონკრეტულად რა მასალის შეძენა უნდა მომხდარიყო, ან როგორ დადგინდა ხელშეკრულების ღირებულება. მიმწოდებლის მიერ გამოწერილი Nელ-0644875923 სასაქონლო ზედნადების მიხედვით, შეძენილია „ვედრო 70ლ, 2ც; წებო, 1ც; ლინოლიუმი 12მ; ჩოთქი 1ც". მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია სასაქონლო ზედნადების შესაბამისად. არ არის

წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ან დეფექტური აქტი, რომლითაც გასაგები იქნებოდა 12 მეტრი ლინოლიუმის შეძენის საჭიროება (სად იქნა გამოყენებული).

2022 წლის 06 მაისს, შპს „ბაბი"-სთან დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N12 ხელშეკრულება, რომლის საგანია - სამეურნეო საქონლის შეძენა (CPV44100000), ღირებულება 96 ლარი. ხელშეკრულებაში არ ჩანს, კონკრეტულად რა სახის სამეურნეო საქონლის შეძენა უნდა მომხდარიყო, ან როგორ დადგინდა ხელშეკრულების ღირებულება. იმავე დღეს, მხარეებს შორის შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებულია „უფოლგო მილი". მიმწოდებლის მიერ გამოწერილი N1ელ-0664206506 სასაქონლო ზედნადების მიხედვით, არის გასაგები რომ მიმწოდებელმა მიაწოდა „მილი 20 უფოლგო Firat", 32 მეტრი (ერთ.ღირებულება 3 ლარი). ასევე, გაუგებარია რა საჭიროებით იქნა აღნიშნული საქონელი შეძენილი, არ არის წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი.

რისკი - სამეურნეო საქონლის/მასალების შესყიდვების დროს, დეფექტური/შესრულებული სამუშაოს აქტების არ შედგენამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს აქტივების ხარჯვის კანონიერებაზე.

რეკომენდაცია - განხორციელებული სამეურნეო საქონლის/მასალების შესყიდვის შემთხვევაში შედგეს დეფექტური/შესრულებული სამუშაოს აქტი, რომლითაც გასაგები იქნება შესყიდვის საჭიროება და ხარჯვის რეალობა.

წინა წლების მსგავსად, 2022 წელშიც ბუნდოვნად არის შედგენილი, მსუბუქი ავტომობილით მომსახურების შესყიდვის შესახებ ი/მ გოჩა რობაქიძესთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

4. შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი

2020 წელი

2020 წელში, ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა 80700 ლარი. აქედან, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №18 დადგენილებით დამტკიცებულ 2020 წლის პროგრამულ ბიუჯეტში, სახელმწიფი დაფინანსების ფარგლებში, გამოეყო 75000 ლარი, რომელიც 2020 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებით გაიზარდა 78000 ლარამდე. ხოლო საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის N6 დადგენილებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო 1000 ლარი, რომელიც 2020 წლის 28 მაისის N8 დადგენილებით გაიზარდა 2700 ლარამდე. ჯამში, მიღებული სუბსიდიიდან, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 80600 ლარი.

2020 წლის განმავლობაში, ცენტრს საკუთარი შემოსავლების სახით მიღებული და გახარჯული აქვს ჯამში 14336 ლარი. აქედან, ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული ს.ჯ.დ. ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"-საგან, 2020 წლის 28 იანვრის N219 ხელშეკრულების ფარგლებში, მიღებული და გახარჯული აქვს 8340 ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, მომსახურების თვიური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 695 ლარს, რომელშიც შედის ცენტრის „ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრული თანამშრომლების შრომითი ანაზღაურება. დაფინანსება მიღებულია ცენტრის მიერ, „ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყოველთვიურად წარდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"- საგან, მუნიციპალიტეტში მცხოვრები C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი ბენეფიციარების (რომელთაც სკრინინგი ჩაუტარდათ 3 თვეზე მეტი ხნის წინ) მოძიებასა და შემდგომ კონფირმაციულ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის მომსახურების შესყიდვის შესახებ, 2020 წლის 15 იანვრის N53 ხელშეკრულების ფარგლებში, ცენტრს მიღებული და გახარჯული აქვს 1106,25 ლარი (ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 2313 ლარს). ხელშეკრულებით განსაზღვრულია თითოეულ მოძიებულ/დაკონფირმირებულ შემთხვევაზე გასაცემი თანხა, რომელიც ანაზღაურებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით პროექტში მონაწილე პირებზე, წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად.

ხოლო 4889,75 ლარი მიღებულია და გახარჯულია, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"- საგან, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის

უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. თანხის დარიცხვა ხდებოდა საკვლევი მასალის რაოდენობის მიხედვით (ერთი საკვლევი მასალის ღირებულება შეადგენდა 5 ლარს), რომელიც ნაწილდებოდა დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრული თანამშრომლების შრომითი ანაზღაურებასა და სხვა ხარჯებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, 2020 წლის 15 იანვარს დადებული N53 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და ცენტრის დირექტორის 2020 წლის 05 თებერვლის N10 ბრძანებით დამტკიცდა ბიუჯეტის ცვლილება და იმ ექიმთა სია (სულ 9), რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაში და ცენტრის დირექტორის 2020 წლის 07 თებერვლის N13 ბრძანებით მათთან დროებითი შრომითი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს, ცენტრს ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება არ გაუთვალისწინებია. ხელშეკრულების სრული ღირებულება დამატებულია შრომის ანაზღაურების მუხლში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებით, ცენტრის სუბსიდია გაიზარდა 3000 ლარით (78000 ლარამდე), მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 მარტის N19 ბრძანებით დამტკიცდა ბიუჯეტის ცვლილება რომელშიც აღნიშნული თანხით მთლიანად დაიგეგმა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 მარტის N20 ბრძანებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში „ც ჰეპატიტის, აივ/შიდსის და ტუბერკულოზზე მოსახლეობის ინტეგრირებულ სკრინინგთან დაკავშირებით, დროებითი შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა ექიმ ფ/პირებს (სულ 9), ხოლო 2020 წლის 16 მარტის N21 ბრძანებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში „ც ჰეპატიტის, აივ/შიდსის და ტუბერკულოზზე მოსახლეობის ინტეგრირებული სკრინინგის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის მომსახურების მიზნით შექმნილია „პროვაიდერების მიერ ჩატარებული ც ჰეპატიტზე, შიდსზე და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის მონიტორინგის ხარისხის მენეჯმენტისა და შეფასების ჯგუფი“, რომელიც შედგება 4 წევრისგან, აქედან 3 არის ცენტრის თანამშრომელი, 1 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 3000 ლარს. ბრძანებით გაწერილია ხარჯები, მათ შორის ერთეული სკრინინგის ღირებულება თითოეულ ბენეფიციარზე დარიცხული ხელფასის სახით, ადმინისტრაციული და სატრანსპორტო ხარჯები, აქვე მითითებულია, რომ მოწვეულ სპეციალისტს თანხა არ ერიცხება. გამოდის, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხა, 3000 ლარი, მთლიანად არ შეადგენდა შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებას და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიგეგმა არასწორად.

ცენტრს მომსახურებით მიღებული შემოსავლებიდან, დირექტორის ბრძანებების საფუძველზე თანამშრომლებზე გაცემული სახელფასო დანამატები დაგეგმილი და გახარჯული აქვს შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლით. უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თანამდებობრივი სარგო არის - „არსებული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის განსაზღვრული ყოველთვიური ანაზღაურება, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი საშტატო ნუსხით ან განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით“. ცენტრს, 2020 წლის 13 იანვარს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებული და დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით,

აქვს 13 საშტატო ერთეული, რომელთა ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 5910 ლარს. ე.ი. წლიურად საჭირო იქნებოდა 70920 ლარი, რაც შესაბამისად იყო დაგეგმილი 2020 წლის 13 იანვარს დამტკიცებულ მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილ ბიუჯეტში, თუმცა წლის განმავლობაში მისაღები საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით, თანამდებობრივი სარგოს გეგმა იზრდებოდა და საბოლოოდ, 2020 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ ბიუჯეტში შეადგინა 85558,74 ლარი. ფაქტიურად, თანამდებობრივი სარგოს მუხლით გაცემულია 85066 ლარი. აქედან, 14146 ლარი (85066-70920) თანამდებობრივი სარგოს მუხლში ასახულია მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან თანამშრომლებზე, დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის გაცემული სახელფასო ანაზღაურება. ამავე კანონის მიხედვით, „დასაქმებული პირის მიერ, ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრული თანხა“ - არის სახელფასო დანამატი. გამომდინარე აქედან, მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან თანამშრომლებზე, დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის გაცემული სახელფასო ანაზღაურება შეესაბამება სახელფასო დანამატს და არა თანამდებობრივი სარგოს, შესაბამისად მისი ასახვა არ უნდა მომხდარიყო თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

რისკი - თანამდებობრივი სარგოს მუხლის, საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ოდენობზე მეტი სიდიდით დაგეგმვამ, შესაძლოა უარყოფით გავლენა იქონიოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებაზე და გამოიწვიოს სამოქმედო პროცესების საქმიანობის შესახებ მცდარი ინფორმაციის ჩამოყალიბება.

რეკომენდაცია - ცენტრმა, მომსახურების ფარგლებში, თანმშრომლებისათვის დამატებითი ფუნქციების დაკისრების შემთხვევაში, სახელფასო ანაზღაურების გაცემის დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონით - საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ.

ცენტრს, ხარჯების დანამატის მუხლში ასახული აქვს, მხოლოდ 1700 ლარი, რომელიც ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N44 ბრძანებით, „ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალიწინებით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობის რისკის შემცველი სამუშაოს პირობებში განხორციელებული საქმიანობისათვის“, სხვადასხვა ოდენობით, გაცემული იქნა ცენტრის ხუთ თანამშრომელზე, თუმცა სახელფასო დანამატის გაანგარიშება რის საფუძველზე მოხდა ბრძანებაში მითითებული არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრს, სახაზინო ამონაწერის მიხედვით, 650 ლარის ოდენობით, გაწეული აქვს სოციალური დახმარება. აღნიშნული ხარჯი ბიუჯეტის არც თავდაპირველ გეგმაში ყოფილა გათვალისწინებული და არც წლის განმავლობაში შესულა ცვლილება ფაქტიურად გაწეული სოციალური ხარჯების შესაბამისად. სოციალურ დახმარებაზე (საავადმყოფო ფურცელი) გაცემული თანხა ხარჯებში ასახულია შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

რეკომენდაცია - ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას სოციალური დახმარების ხარჯები და ამ მუხლიდან მოხდეს საავადმყოფო ფურცელზე მყოფი თანამშრომლებისათვის გადასახდელი თანხების ანაზღაურება.

2020 წლის ხარჯები დაგეგმილია და გაწეულია მისაღები სუბსიდიისა და შემოსავლების შესაბამისად. ჯამში, 2020 წელში, ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს ხარჯმა შეადგინა 94958,60 ლარი. აქედან, 86766,5 ლარი გაცემულია შრომის ანაზღაურება; საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია - 8192,1 ლარი.

ცენტრს 2020 წლის განმავლობაში, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"-სგან უსასყიდლოდ მიღებული აქვს სხვადასხვა დასახელების საქონელი. წლის განმავლობაში მიღებულია 39 სასაქონლო ზედნადები, ჯამური ღირებულებით 155146,08 ლარი. უსასყიდლოდ მიღებული საქონელი ცენტრს აღრიცხული აქვს შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე. 2020 წელში, ცენტრის მიერ, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"-სგან მიღებული საქონელი, გაცემულია სასაქონლო ზედნადებებით (სულ 201), ჯამში 100631,18 ლარის ღირებულებით, შესაბამის დაწესებულებებზე, ურთიერთშეთანხმების აქტების საფუძველზე, მოთხოვნა-გაცემის ფაქტურებით.

ცენტრს, 2020 წელში, ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოები აქვს, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 10 იანვრის №14 ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 22 თებერვალს შედგენილია 2020 წლის ბალანსი.

ცენტრის დირექტორის 2020 წლის 17 დეკემბრის N108 ბრძანებით, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების შესაბამისად, შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს „სამსახურის ბალანსზე არსებული, ასევე დროებით სარგებლობაში გადაცემული ინვენტარის აღწერა" და საჭიროების შემთხვევაში მცირეფასიანი უვარგისი ინვენტარის ჩამოწერა სათანადო წესით. „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების 1.3 მუხლის მიხედვით, „ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზირებული ძირითადი აქტივები". ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ ბრძანებაში არაფერია ნათქვამი მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციაზე, შესაბამისად კომისიის მიერ მატერიალური მარაგების შედარების უწყისებიც არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას, ხდება დამოუკიდებლად, ვაქცინების ლოჯისტიკაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ხოლო წლის განმავლობაში, დირექტორის ბრძანებებით შექმნილი კომისიის მიერ, ხდება ვადაგასული შრატების ჩამოწერა.

რისკი - ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“-ს მიერ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ ინსტრუქციის შეუსაბამოდ, ინვენტარიზაციის ჩატარებამ, შესაძლოა უარყოფითი შედეგი იქონიოს დაწესებულების ბალანსზე რიცხული ფინანსური აქტივების დაცულობაზე, მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების დადგენაზე, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტიურ ნაშთებსა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემების სისწორეზე.

რეკომენდაცია - ცენტრმა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად ჩაატაროს ინვენტარიზაცია.

2021 წელი

2021 წელში, ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა 88000 ლარი. აქედან, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №18 დადგენილებით დამტკიცებულ 2021 წლის პროგრამულ ბიუჯეტში, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, გამოეყო 80000 ლარი, რომელიც 2021 წლის 25 თებერვლის №3 დადგენილებით გაიზარდა 86700 ლარამდე, ამავე დადგენილებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო 1300 ლარი. 2021 წლის განმავლობაში, მისაღები სუბსიდიიდან ფაქტიურად გახარჯული აქვს 86426,9 ლარი.

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული ს.ჯ.დ. ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში, მომსახურების შესყიდვის მიზნით, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი“-საგან, 2021 წლის 26 იანვრის N106 ხელშეკრულების ფარგლებში, მიღებული და გახარჯული აქვს 8340 ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, მომსახურების თვიური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 695 ლარს, რომელშიც შედის ცენტრის „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრული თანამშრომლების შრომითი ანაზღაურება. დაფინანსება მიღებულია ცენტრის მიერ, ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყოველთვიურად წარდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი“- საგან, მუნიციპალიტეტში მცხოვრები C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი ბენეფიციარების (რომელთაც სკრინინგი ჩაუტარდათ 3 თვეზე მეტი ხნის წინ) მოძიებასა და შემდგომ კონფირმაციულ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის მომსახურების შესყიდვის შესახებ, 2021 წლის 01 მარტის N236 ხელშეკრულების ფარგლებში, ცენტრს მიღებული და გახარჯული აქვს 270 ლარი (ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 1900 ლარს). ხელშეკრულებით განსაზღვრულია თითოეულ მოძიებულ/დაკონფირმირებულ

შემთხვევაზე გასაცემი თანხა, რომელიც ანაზღაურებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით პროექტში მონაწილე პირებზე, წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად.

49540 ლარი მიღებული და გახარჯულია, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"-საგან, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. თანხის დარიცხვა ხდებოდა საკვლევი მასალის რაოდენობის მიხედვით (ერთი საკვლევი მასალის ღირებულება შეადგენდა 5 ლარს), რომელიც ნაწილდებოდა დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N5 ბრძანებით განსაზღვრულ თანამშრომლების შრომით ანაზღაურებასა და სხვა ხარჯებზე.

1020 ლარი მიღებული და გახარჯულია, შპს „მიქსტა"-სთან, 2021 წლის 10 მარტის N03-305 ხელშეკრულების ფარგლებში. ხელშეკრულების მიხედვით, ცენტრი „კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (2021 წლის 31 დეკემბრამდე) „დამკვეთის" მოთხოვნის შესაბამისად, საკვლევი მასალის მომზადებას, კოვიდ 19-ზე პჯრ მეთოდით კვლევისთვის." ხელშეკრულებით, ერთ პაციენტზე საკვლევი მასალის მომზადების ღირებულება განსაზღვრულია 30 ლარი, ხოლო პაციენტის მისამართზე მისვლის შემთხვევაში 50 ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული მომსახურების ღირებულება დირექტორის 2021 წლის 25 მაისის N42 ბრძანების მიხედვით, თანაბრად ნაწილდებოდა 2021 წლის 26 თებერვლის N5 ბრძანებით განსაზღვრულ პირებზე.

2020 წლის მსგავსად, ცენტრს მომსახურებით მიღებული შემოსავლებიდან, დირექტორის ბრძანებების საფუძველზე თანამშრომლებზე გაცემული სახელფასო დანამატები დაგეგმილი და გახარჯული აქვს შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლით. ცენტრს, 2021 წლის 21 იანვარს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებული და დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, აქვს 13 საშტატო ერთეული, რომელთა ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 5910 ლარს. ე.ი. წლიურად საჭირო იქნებოდა 70920 ლარი, თუმცა 2021 წლის 21 იანვარს დამტკიცებულ მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილ ბიუჯეტში, თანამდებობრივი სარგო დაგეგმილია 71615 ლარით, დამატებული აქვს 695 ლარი, ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, 2021 წლის 26 იანვარს დადებული N106 ხელშეკრულების ფარგლებში, იანვრის თვეში მოსალოდნელი საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით. 2021 წლის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს გეგმა იზრდებოდა და საბოლოოდ, 2021 წლის 31 დეკემბერს N135 ბრძანებით, დამტკიცებულ ბიუჯეტში შეადგინა 140236 ლარი. ფაქტიურად, თანამდებობრივი სარგოს მუხლით გაცემულია 127905 ლარი. აქედან, 57869,6 ლარი (127905-(70920-884.6(ბიულეტენი)) არასწორად არის თანამდებობრივი სარგოს მუხლში ასახული. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან თანამშრომლებზე, დამატებითი სამუშაოს შესრულებისათვის გაცემული სახელფასო ანაზღაურება, შეესაბამება სახელფასო დანამატს და არა თანამდებობრივი სარგოს, შესაბამისად მისი ასახვა არ უნდა მომხდარიყო თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან დადებული, 2021 წლის 01 მარტის N236 ხელშეკრულების ღირებულება - 1900 ლარი, ცენტრს არ აქვს საკუთარი შემოსავლების გეგმაში დამატებული. ცენტრი წლის განმავლობაში საკუთარ შემოსავალს ბიუჯეტის გეგმაში ასახავდა ფაქტიურად

მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით. თუმცა 2021 წლის 31 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის N135 ბრძანებით დამტკიცდა ბიუჯეტის ცვლილება, რომლის მიხედვით ცენტრს საკუთარი შემოსავლები დაგეგმილი აქვს 70607 ლარით. სახაზინო ამონაწერის მიხედვით, ცენტრს 2021 წლის დასაწყისში საკუთარ შემოსავლებში ნაშთად ერიცხებოდა 5 ლარი, წლის განმავლობაში, საკუთარი შემოსავლების სახით მიღებული აქვს 59170 ლარი. აქედან, წლის განმავლობაში ფაქტიურად გახარჯულია 58379,80 ლარი. ხოლო 795,20 ლარი დარჩენილია ნაშთად. ცენტრს, ბუღალტრულად მოსალოდნელი საკუთარი შემოსავალი აღრიცხული არ აქვს, ამიტომ გაუგებარია, რატომ მოხდა საკუთარი შემოსავლების 70607 ლარით დაგეგმვა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრს საკუთარი შემოსავლები, მერთან შეთანხმებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით, დაგეგმილი აქვს მხოლოდ ორი მუხლით, შრომის ანაზღაურება - 68723 ლარით და შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 1884 ლარით (ჯამში 70607 ლარი). ფაქტიურად კი, საკუთარი შემოსავლებიდან განხორციელებულია შესყიდვებიც, რაც შესაბამისად უნდა ყოფილიყო ბიუჯეტში გათვალისწინებული (სახაზინო ამონაწერის მიხედვით, საკუთარი შემოსავლებიდან ჯამში 1018,75 ლარის შესყიდვაა განხორციელებული).

რეკომენდაცია - ცენტრმა საკუთარი შემოსავლები დაგეგმოს რეალურ გათვლებზე დაყრდნობით და ხარჯვა განახორციელოს დაგეგმილი ბიუჯეტის შესაბამისად.

2021 წლის 21 იანვარს, მერთან შეთანხმებული და დირექტორის N3 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, ცენტრის ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 5910 ლარს, წლიურად საჭირო იქნებოდა 70920 ლარი. 2021 წლის 31 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებულ და დირექტორის N135 ბრძანებით დამტკიცებულ მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლი დაგეგმილია 140236 ლარით. საკუთარი შემოსავლების გეგმაში შრომის ანაზღაურება დაგეგმილია 68723 ლარით. საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოსა და საკუთარი შემოსავლების გეგმის გათვალისწინებით, შრომის ანაზღაურება უნდა დაგეგმილიყო 139643 ლარით (70920+68723), ნაერთ ბიუჯეტში, შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლი, რატომ დაიგეგმა 140236 ლარით, 593 ლარით მეტი, გაუგებარია.

ცენტრს, სახაზინო ამონაწერის მიხედვით, 2021 წელშიც, 884,60 ლარის ოდენობით, გაწეული აქვს სოციალური დახმარება. აღნიშნული ხარჯი ბიუჯეტის არც თავდაპირველ გეგმაში ყოფილა გათვალისწინებული და არც წლის განმავლობაში შესულა ცვლილება ფაქტიურად გაწეული სოციალური ხარჯების შესაბამისად. სოციალურ დახმარებაზე (საავადმყოფო ფურცელი) გაცემული თანხა ხარჯებში ასახულია შრომის ანაზღაურების მუხლში.

ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N22 ბრძანებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში „ც ჰეპატიტის, აივ/შიდსის და ტუბერკულოზზე მოსახლეობის ინტეგრირებულ სკრინინგთან დაკავშირებით", დროებითი შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა ექიმ ფ/პირებს (სულ 10), რომლებზეც, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით, მომსახურების ღირებულება გაცემულია სულ 2012,8 ლარი. დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N23 ბრძანების მიხედვით, პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 3000 ლარს, ამავე ბრძანებით გაწერილია ხარჯები, მათ შორის

ერთეული სკრინინგის ღირებულება თითოეულ ბენეფიციარზე დარიცხული ხელფასის სახით, ადმინისტრაციული და სატრანსპორტო ხარჯები.

2021 წლის ხარჯები დაგეგმილია და გაწეულია მისაღები სუბსიდიისა და შემოსავლების შესაბამისად. ჯამში, 2021 წელში, ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს ხარჯმა შეადგინა 144806,70 ლარი. აქედან, 128789,6 ლარი გაცემულია შრომის ანაზღაურება, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია - 16017,1 ლარი.

ცენტრს, 2021 წლის განმავლობაში, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"-სგან უსასყიდლოდ მიღებული აქვს სხვადასხვა დასახელების საქონელი. წლის განმავლობაში მიღებულია 89 სასაქონლო ზედნადები, ჯამური ღირებულებით 638735,6 ლარი. 2021 წელში ცენტრის მიერ, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"-სგან მიღებული საქონელი, ჯამში 536152,93 ლარის ღირებულებით, გაცემულია სასაქონლო ზედნადებებით (ჯამში 444), შესაბამის დაწესებულებებზე, ურთიერთშეთანხმების აქტების საფუძველზე, მოთხოვნა-გაცემის ფაქტურებით.

ცენტრის დირექტორს, 2021 წლის 16 თებერვლის N10 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ცენტრს 2021 წელში, ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოები საერთოდ არ აქვს, არ არის მემორიალური ორდერები და ჟურნალი-მთავარი. ცენტრმა წარმოადგინა 2021 წლის ბალანსი, რომელიც შედგენილია ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია"-ს მიერ, ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

რისკი - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციით დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის, 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის არ წარმოებამ, დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაუცველობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ მცდარი ინფორმაციის ჩამოყალიბება.

რეკომენდაცია - ცენტრმა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციით დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის, 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა.

დირექტორის, 2021 წლის 17 დეკემბრის N129 ბრძანებით, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების შესაბამისად, შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს „სამსახურის ბალანსზე არსებული, ასევე დროებით სარგებლობაში გადაცემული ინვენტარის აღწერა" და საჭიროების შემთხვევაში მცირეფასიანი უვარგისი ინვენტარის ჩამოწერა სათანადო

წესით. „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების 1.3 მუხლის მიხედვით, „ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზირებული ძირითადი აქტივები“. ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ ბრძანებაში არაფერია ნათქვამი მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციაზე, შესაბამისად კომისიის მიერ მატერიალური მარაგების შედარების უწყისებიც არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას, 2021 წელშიც ხდებოდა დამოუკიდებლად, ვაქცინების ლოჯისტიკაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ხოლო წლის განმავლობაში, დირექტორის ბრძანებებით შექმნილი კომისიის მიერ, ხდება ვადაგასული შრატების ჩამოწერა.

2022 წელი

2022 წელში, ა.(ა.)ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს 94200 ლარი. აქედან, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებულ 2022 წლის პროგრამულ ბიუჯეტში, სახელმწიფი დაფინანსების ფარგლებში, გამოეყო 85000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 9200 ლარი. 2022 წლის 01 ივლისამდე პერიოდში, მისაღები სუბსიდიიდან ფაქტიურად გახარჯული აქვს 49478 ლარი.

2022 წლის შესამოწმებელ პერიოდში (01.01.2022-01.07.2022), ცენტრს საკუთარი შემოსავლების სახით მიღებული აქვს ჯამში 39842 ლარი. აქედან, ფაქტიურად გახარჯული აქვს 34399,7 ლარი. წინა წლების მსგავსად, ცენტრს, 2022 წელშიც საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის 14 იანვარს დადებული N95 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების შესაბამისად (ხელშეკრულების ღირებულებაა 8340 ლარი). შპს „მიქსტა“-სთან, 2022 წლის 01 იანვრის N07-301 ხელშეკრულების ფარგლებში, კოვიდ 19-ზე პჯრ მეთოდით კვლევისთვის, ერთ პაციენტზე საკვლევი მასალის მომზადების ღირებულება განსაზღვრულია 20 ლარი და ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი“- საგან, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, თანხის დარიცხვა ხდებოდა საკვლევი მასალის რაოდენობის მიხედვით (ერთი საკვლევი მასალის ღირებულება 1-14 იანვრის ჩათვლით შეადგენდა 5 ლარს (ბრძანება N2), ხოლო 15 იანვრიდან 3 ლარს (N6 ბრძანება)). შემოსავლები ძირითადად ნაწილდებოდა ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ, პროგრამაში მონაწილე პირებზე.

2020-21 წლების მსგავსად, 2022 წელში, ცენტრს მომსახურებით მიღებული შემოსავლებიდან, დირექტორის ბრძანებების საფუძველზე, თანამშრომლებზე გაცემული სახელფასო დანამატები დაგეგმილი და გახარჯული აქვს შრომის ანაზღაურების თანამდებობრივი სარგოს მუხლით.

ცენტრს, 2022 წლის 25 იანვარს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებული და N8 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, აქვს 13 საშტატო ერთეული, რომელთა ერთი თვის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 7092 ლარს. ე.ი. წლიურად საჭირო იქნებოდა 85104 ლარი, იმავე ბრძანებით დამტკიცებულ მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილ ბიუჯეტში, თანამდებობრივი სარგო დაგეგმილია 103993 ლარით, დამატებული აქვს 18889 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან დაგეგმილი შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით. 2022 წლის შესამოწმებელ პერიოდში თანამდებობრივი სარგოს გეგმა გაიზარდა და 2022 წლის 03 ივნისის N40 ბრძანებით, დამტკიცებულ ბიუჯეტში შეადგინა - 124235 ლარი (დაემატა 39131 ლარი). ფაქტიურად, ივნისის ჩათვლით, თანამდებობრივი სარგოს მუხლით გაცემულია 76112,9 ლარი, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიხედვით, ცენტრს თანამდებობრივი სარგოს 6 თვის ხარჯი უნდა ჰქონოდა არაუმეტეს 42552 ლარისა (7092*6).

ცენტრს, სახაზინო ამონაწერის მიხედვით, 2022 წელშიც, 156 ლარის ოდენობით, გაწეული აქვს სოციალური დახმარება. აღნიშნული ხარჯი ბიუჯეტის არც თავდაპირველ გეგმაში ყოფილა გათვალისწინებული და არც წლის განმავლობაში შესულა ცვლილება ფაქტიურად გაწეული სოციალური ხარჯების შესაბამისად. სოციალურ დახმარებაზე (საავადმყოფო ფურცელი) გაცემული თანხა ხარჯებში ასახულია შრომის ანაზღაურების - „თანამდებობრივი სარგო"-ს მუხლში.

ცენტრს, 2022 წლის შესამოწმებელ პერიოდში (01.01.2022-30.06.2022), ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრისგან" უსასყიდლოდ მიღებული აქვს სხვადასხვა დასახელების საქონელი. წლის განმავლობაში მიღებულია 29 სასაქონლო ზედნადები, ჯამური ღირებულებით 154192.22 ლარი. 2022 წელში ცენტრის მიერ, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი"-სგან მიღებული საქონელი, ჯამში 128235.26 ლარის ღირებულებით, გაცემულია სასაქონლო ზედნადებებით (სულ 150), შესაბამის დაწესებულებებზე, ურთიერთშეთანხმების აქტების საფუძველზე, მოთხოვნა-გაცემის ფაქტურებით.

ცენტრს, 2022 წელში, ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია"-სთან, 2021 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გადახდილი აქვს 4000 ლარი საწევრო გადასახადი. მემორანდუმის მიხედვით, ასოციაციის საქმიანობის სფეროში შედის კორპორატიულ წევრს „გაუწიოს დახმარება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაში"; „გაუწიოს დახმარება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებაში და მის ავტომატიზაციაში"; მიუხედავად ამისა, ცენტრს 2022 წელში ბუღალტრული აღრიცხვა ისევ არ აქვს ნაწარმოები, არ არის მემორიალური ორდერები და ჟურნალი-მთავარი.

5. ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის აუდიტი

ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ თავის საქმიანობას აწესრიგებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით. ცენტრს, შესამოწმებელ პერიოდში, განსახორციელებელი ღონისძიებები (მუნიციპალური პროგრამა), პროგრამის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო ნუსხა დამტკიცებული აქვს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი“ საკუთარ შემოსავლებს გეგმავდა არა მოსალოდნელი, არამედ ფაქტიურად მიღებული შემოსავლების საფუძველზე, რაც ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში ხშირ ცვლილებებს იწვევდა. ბიუჯეტის ცვლილებები თანხმდებოდა მუნიციპალიტეტის მერთან და დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებებით. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც დირექტორის ბრძანებებით, საქონელი და მომსახურების მუხლიდან თანხა გადატანილი იქნა შრომის ანაზღაურების მუხლში, მერთან შეთანხმების გარეშე, ან მერთან შეთანხმებული და დამტკიცებული საკუთარი შემოსავლების კვარტალურად ჩაშლილი გეგმა და ნაერთი, მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილი ბიუჯეტის გეგმა, არ იყო თანხვედრაში.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ბიუჯეტის ცვლილებების შესაბამისად იგეგმებოდა. შესამოწმებელ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების თავდაპირველი წლიური გეგმები დამტკიცებული არ იყო უფლებამოსილი პირის მიერ. ცენტრის დირექტორს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში განხორციელებულ ცვლილებებზე ჰქონდა ბრძანებები გამოცემული.

ცენტრი, ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით დამტკიცებული „ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის“, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული ს.ჯ.დ. ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-საგან, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე, იღებს დაფინანსებას, ყოველთვიურად, წარდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად. ასევე, პროგრამის ფარგლებში, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი“-საგან უსასყიდლოდ იღებს სხვადასხვა დასახელების საქონელს. მიღებული საქონელი ცენტრის მიერ, ურთიერთშეთანხმების აქტების საფუძველზე, გაიცემა სასაქონლო ზედნადებებითა და მოთხოვნა-გაცემის ფაქტურებით შესაბამის დაწესებულებებზე.

ცენტრს, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებული და დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, აქვს 13 საშტატო ერთეული, რომელთა ერთი თვის თანამდებობრივი სარგო 2020-2021 წლებში შეადგენდა 5910 ლარს, ხოლო 2022 წელში შეადგენდა 7092 ლარს (25.01.2022 წლის N8 ბრძანება).

შესამოწმებელ პერიოდში (01.01.2020-30.06.2022წწ), ცენტრს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიიდან ფაქტიურად გახარჯული აქვს 216505 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების სახით მიღებული და გახარჯული აქვს 107116 ლარი, ჯამში, 323621 ლარი. აქედან, 289576,7 ლარი, შემოსავლების 90 % გაცემულია შრომის ანაზღაურებაზე; მივლინებაზე გაიხარჯა - 1615 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 4517,6 ლარი; 4000 ლარი გადახდილია საწევრო შენატანი, „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია"-ს მიერ, ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში; 323,1 ლარი - კომუნალური გადასახადი; 23421,8 ლარის შესყიდვები განხორციელდა; ხოლო 166,8 ლარი, 2022 წელში, გადახდილია ჯარიმა, მუნიციპალურ დონეზე არსებული ს.ჯ.დ. ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-თან, 2021 წლის 26 იანვარს დადებული N106 ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის დირექტორს, 2021 წლის 16 თებერვლის N10 ბრძანებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების შესაბამისად, დამტკიცებული აქვს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა. ასევე, ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია"-სთან, 2021 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გადახდილი აქვს 4000 ლარი საწევრო გადასახადი, რომლის ფარგლებში ასოციაციამ უნდა „გაუწიოს დახმარება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაში, გაუწიოს დახმარება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებაში და მის ავტომატიზაციაში", ცენტრს 2021-2022 წლებში ბუღალტრული აღრიცხვა საერთოდ არ აქვს ნაწარმოები, არ არის მემორიალური ორდერები და ჟურნალი-მთავარი. ცენტრმა წარმოადგინა 2021 წლის ბალანსი, რომელიც შედგენილია ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია"-ს მიერ, ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.

ცენტრს, მომსახურებით მიღებული შემოსავლებიდან, დირექტორის ბრძანებების საფუძველზე თანხა გაცემული აქვს ძირითადად ერთსა და იმავე თანამშრომლებზე, სახელფასო დანამატის სახით. შესამოწმებელ პერიოდში, მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან, 107116 ლარიდან, 105576,5 ლარი, მიღებული შემოსავლების 98,6%, გაცემულია ხელფასის სახით, დირექტორის ბრძანებებით განსაზღვრულ თანამშრომლებზე, შესაბამისი გაანგარიშებით.

ცენტრი, შესამოწმებელ პერიოდში, „ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით დამტკიცებული „ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის", რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული ს.ჯ.დ. ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-საგან შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე იღებდა ყოველწლიურად 8340 ლარს (თვეში განსაზღვრულია 695 ლარი). აღნიშნული მომსახურების ფარგლებში ყოველწლიურად,

დირექტორის ბრძანებებით, განისაზღვრებოდა ერთი და იგივე თანამშრომლები (სულ 6), რომლებსაც უფორმდებოდა დამატებით შრომითი ხელშეკრულებები.

ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, დადებული N219 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N7 ბრძანებით, შესასრულებლად გადანაწილებულია შემდეგნაირად - „მარინა ხუციშვილს -ეპიდემიოლოგს, - აღნიშნული ხელშეკრულების 4.1, 4.4, 4.5, 4.7, 4.8 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად განესაზღვრა ხელფასი 140 ლარი; ნანა მერკვილაძეს - ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირს - აღნიშნული ხელშეკრულების 4.1.2, 4.1.3, 4.2, 4.5 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად - ხელფასის სახით მიეცეს 120 ლარი; ლუიზა დოროშენკოს - ვაქცინების ლოჯისტიკაზე პასუხისმგებელი პირს - აღნიშნული ხელშეკრულების 4.2.2, 4.2.3, 4.6, 4.9 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად - ხელფასი 75 ლარი; რუსუდან ჭირაქაძეს - ლაბორანტს - აღნიშნული ხელშეკრულების 4.2.7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად - ხელფასი 20 ლარი. მადონა ქასრაძეს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების 4.2, 4.3, 4.8, 4,9 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად - ხელფასი 140 ლარი. თამარ გოგლიძეს - ბუღალტერს, პროგრამის ბუღალტრული მომსახურეობისათვის - ხელფასი 80 ლარი". ხოლო ბრძანების 2.0 მუხლის თანახმად, „ეპიდზედამხედველობის" სახელმწიფო პროგრამის საერთო ზედამხედველობას განახორციელებს პირადად ცენტრის დირექტორი და ხელფასის სახით ანაზღაურებას მიიღებს - 120 ლარს. ბრძანებაში მითითებულ პირებზე, სახელფასო დანამატების გაანგარიშება რა პრინციპით მოხდა გაუგებარია. რადგან როგორც ბრძანებიდან ჩანს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებიდან, ერთი და იგივე პუნქტების შესრულება დავალებული აქვს რამდენიმე თანამშრომელს. მაგალითად, 4.5 პუნქტი, რომელიც გულისხმობს -„ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად, სჯდ ცენტრებზე განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას", შესასრულებლად დაევალა ეპიდემიოლოგს და ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს; 4.2 პუნქტი, რომელიც გულისხმობს -„იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება საინფორმაციო სისტემისა და ლოჯისტიკის გამართული მუშაობის გზით", დავალებული აქვს ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირს და დირექტორს; აღნიშნული პუნქტი ჩაშლილია 7 ქვეპუნქტად, ქვეპუნქტების - 4.2.2 და 4.2.3-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება დავალებული აქვს ვაქცინების ლოჯისტიკაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო 4.2.7 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება დაევალა ლაბორანტს.

როგორც ბრძანებიდან ჩანს, ხელშეკრულების ღირებულება ნაწილდება მხოლოდ 6 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურებაზე, ამიტომ გაუგებარია, პროგრამის ბუღალტრული მომსახურეობისათვის, ბუღალტერს რატომ განესაზღვრა დანამატი უფრო მეტი ოდენობით ვიდრე პროგრამის შესრულებაში მონაწილე პირებს. მსგავსი სიტუაციაა, 2021-2022 წლის შესამოწმებელ პერიოდშიც, ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით, ს.ს.ი.პ. „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-საგან შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული დაფინანსების განაწილების შემთხვევაშიც (2022 წელში აღნიშნული პროგრამის

მომსახურებაზე მიღებული შემოსავალი ნაწილდება 5 თანამშრომელზე, პროგრამაში აღარ მონაწილეობს ლაბორანტი).

ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N44 ბრძანებით, „ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალიწინებით, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობის რისკის შემცველი სამუშაოს პირობებში განხორციელებული საქმიანობისათვის", გაცემული იქნა სახელფასო დანამატი ცენტრის ხუთ თანამშრომელზე, სხვადასხვა ოდენობით, თუმცა სახელფასო დანამატის გაანგარიშება რის საფუძველზე მოხდა ბრძანებაში მითითებული არ არის.

შესამოწმებელ პერიოდში, ასევე დადებულია ხელშეკრულებები, ს.ს.ი.პ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, მუნიციპალიტეტში მცხოვრები C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი ბენეფიციარების (რომელთაც სკრინინგი ჩაუტარდათ 3 თვეზე მეტი ხნის წინ) მოძიებასა და შემდგომ კონფირმაციულ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის მომსახურების მომსახურების მიზნით. ხელშეკრულებით განსაზღვრულია თითოეულ მოძიებულ/დაკონფირმირებულ შემთხვევაზე გასაცემი თანხა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ცენტრის დირექტორის ბრძანებებით, პროექტის მენეჯერის „ნავიგატორის" ფუნქციის შესრულება ევალება დირექტორს, ხოლო ეპიდემოლოგი არის მარინე ხუციშვილი. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ და შტატგარეშე თანამშრომლებად აყვანილია ოჯახის ექიმები (სულ 9 ექიმს). ხელშეკრულებით განსაზღვრული, თითოეულ მოძიებულ/დაკონფირმირებულ შემთხვევაზე გასაცემი თანხა, თანაბრად არის გადანაწილებული პროექტის მენეჯერზე, ეპიდემიოლოგსა და ოჯახის ექიმზე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში - ც ჰეპატიტის, აივ/შიდსის და ტუბერკულოზზე მოსახლეობის ინტეგრირებულ სკრინინგის პროგრამის ფარგლებში, ცენტრი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით იღებს დაფინანსებას, 3000 ლარის ოდენობით. პროგრამა თანხმდება მუნიციპალიტეტის მერთან და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. პროგრამით გაწერილია ერთეული სკრინინგის ღირებულება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დროებითი შრომითი ხელშეკრულება უფორმდება ოჯახის ექიმებს (სულ 10), ასევე, დირექტორის ბრძანებით შექმნილია „პროვაიდერების მიერ ჩატარებული ც ჰეპატიტზე, შიდსზე, და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის მონიტორინგის ხარისხის მენეჯმენტისა და შეფასების ჯგუფი", რომელიც შედგება 4 წევრისაგან. აქედან, სამი არის - ცენტრის დირექტორი, ბუღალტერი და ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო ერთი მოწვეული სპეციალისტი. ბრძანებით განსაზღვრულია ჯგუფის წევრების ხელფასი თითოეული შემთხვევაზე წინასწარ შეთანხმებული ინდიკატორებით (0.25 ლარი), მოწვეულ სპეციალისტს თანხა არ ეძლევა.

შესამოწმებელ პერიოდში, „ახალი კორონავირუსით დაავადების (COVID-19) მართვის" სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად, დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია პროგრამაში მონაწილე ჯგუფი, სამოქმედო გეგმა და გაწერილია პროგრამის ფარგლებში მისაღები დაფინანსების ხარჯები. ერთი საკვლევი მასალის ღირებულება შეადგენდა 5 ლარს, აქედან 3 ლარი გაიცემოდა პირდაპირი, ხოლო 2 ლარი არაპირდაპირი ხარჯი. პირდაპირი ხარჯი სამი ლარი თანაბრად ნაწილდება ჯგუფის წევრებზე (ნანა მერკვილაძე, იზოლდა მორგოშია, ნატო კუბლაშვილი), ხოლო არაპირდაპირი ხარჯიდან, 2020 წელში, 15% გათვალისწინებული იყო საქონელი და მომსახურების მუხლში, ხოლო დარჩენილი თანხა თანაბრად ნაწილდებოდა

პროგრამის ადმინისტრირებასა (დირექტორი) და ფინანსურ მომსახურებაზე პასუხისმგებელ (ბუღალტერი) პირებზე. 2021 წელში, არაპირდაპირი ხარჯიდან 5-10% გათვალისწინებული იყო საქონელი და მომსახურების მუხლში, ხოლო დარჩენილი თანხა თანაბრად ნაწილდებოდა პროგრამის ადმინისტრირებასა (დირექტორი) და ფინანსურ მომსახურებაზე პასუხისმგებელ (ბუღალტერი) პირებზე. 2022 წელში ერთი საკვლევი მასალის ღირებულება შეადგენდა 3 ლარს, პირდაპირი ხარჯი - 2 ლარი ნაწილდებოდა ჯგუფის წევრებზე, ხოლო არაპირდაპირი ხარჯი 1 ლარი ნაწილდებოდა დირექტორსა და ბუღალტერზე (0.60 და 0.40 ლარი).

აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყვნენ ერთი და იგივე თანამშრომლები. დირექტორის 2020 წლის 12 ივნისისს №45 ბრძანებით, მაია გვენეტაძეს, პროფილაქტიკოს-პრევენციონისტი, დაევალა საკვლევი მასალის აღება, ხოლო რეგისტრაცია ელ.პროგრამაში ნანა მერკვილაძეს, ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი/თანაშემწე იმუნიზაციაში. 2020 წლის 01 ოქტომბრის №79 ბრძანებით, ნანა მერკვილაძეს,ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი/თანაშემწე იმუნიზაციაში, დაევალა ბიოლოგიური მასალის აღება, PSR და სწრაფი მარტივი Ag ტესტებით კვლევისათვის და პორტალზე დარეგისტრირება. იზოლდა მორგოშიას, ინსტრუქტორ-დეზინფექციონისტი, -ტესტირებისათვის აღებული ბიოლოგიური მასალის მარკირება და ტრანსპორტირებისათვის მომზადება და ნატო კუბლაშვილი, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სპეციალისტი, -პჯრ-ისათვის აღებული მასალის პირველადი რეგისტრაცია.

2021 წლის 26 თებერვლის N5 ბრძანებით, ნანა მერკვილაძეს დაევალა ბიოლოგიური მასალის აღება, PSR და სწრაფი მარტივი Ag ტესტებით კვლევისათვის და პორტალზე დარეგისტრირება. იზოლდა მორგოშიას - ტესტირებისათვის აღებული ბიოლოგიური მასალის მარკირება და ტრანსპორტირებისათვის მომზადება და ნატო კუბლაშვილი -პჯრ-ისათვის აღებული მასალის პირველადი რეგისტრაცია. 2021 წლის N34 ბრძანებით, N5 ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის თვითიზოლაციაში გადასვლის გამო, შეიცვალა სამუშაო ჯგუფის ორი წევრი - მანანა ფანჩულიძეს, ენტემოლოგი, დაევალა ბიოლოგიური მასალის აღება, PSR და სწრაფი მარტივი Ag ტესტებით კვლევისათვის; თამარი გოგლიძეს, ბუღალტერი, დაევალა აღებული მასალის პირველადი რეგისტრაცია; ნანა მერკვილაძეს დაევალა აღებული მასალის პორტალზე დარეგისტრირება ონლაინ. 2021 წლის N36 ბრძანებით სამუშაო ჯგუფი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: მანანა ფანჩულიძე - ბიოლოგიური მასალის აღება, PSR და სწრაფი მარტივი Ag ტესტებით კვლევისათვის; იზოლდა მორგოშია - აღებული მასალის პირველდი რეგისტრაცია; ნანა მერკვილაძე - აღებული მასალის პორტალზე დარეგისტრირება ონლაინ. 2021 წლის N37 ბრძანებით პროგრამის განხორციელება დაევალა ისევ, 2021 წლის 26 თებერვლის N5 ბრძანებით განსაზღვრულ ჯგუფს. 2021 წლის 15 ივლისის N71 ბრძანებით, ი. მორგოშიას შვებულებაში ყოფნის პერიოდში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მისი ფუნქციების შესრულება დაევალა ნ. მერკვილაძეს 2021 წლის 15 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით (შესაბამისი ანაზღაურებით, 2 ლარი). იმავე დღეს, 2021 წლის 15 ივლისს გამოცემული N72 ბრძანებით, ნ.კუბლაშვილის თვითიზოლაციაში გადასვლის გამო, 1-3 მაისს, ბიოლოგიური

მასალის აღებას, სწრაფი ტესტის ჩატარებას და ელექტრონულ ბაზაში შეყვანას უზრუნველყოფს ნ. მერკვილაძე (შესაბამისი ანაზღაურებით - 2 ლარი), ხოლო პირველად რეგისტრაციას - იზოლდა მორგოშია. გაუგებარია, თუ 1-3 მაისს იყო ნ.კუბლაშვილი თვითიზოლაციაში, 15 ივლისამდე რატომ არ მოხდა ფუნქციების გადანაწილება.

2021 წლის 23 აგვისტოს N89 ბრძანებით, ნ.კუბლაშვილის შვებულებაში ყოფნის პერიოდში (23.08-03.09) ფუნქციები გადანაწილდა ნ. მერკვილაძესა და ი. მორგოშიაზე (შესაბამისი ანაზღაურებით, თითოეულს 1.5 ლარი). ფუნქციების მსგავსი გადანაწილებაა დირექტორის 2021 წლის N108 და 2021 წლის 10 დეკემბრის N125 ბრძანებებით. იგივე ჯგუფი მუშაობს ობიექტებზე გასვლის შემთხვევაში, არასამუშაო დღეებში და შპს „მიქსტა"-სთან, ლაბორატორიული მომსახურების შესახებ, დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლითაც 2020 წელში, ერთ პაციენტზე საკვლევი მასალის მომზადების ღირებულება განსაზღვრული იყო 30 ლარი, პაციენტის მისამართზე მისვლის შემთხვევაში 50 ლარი. ხოლო შემდეგ (2021-2022წწ) ერთი საკვლევი მასალის მომზადების ღირებულება შეადგენდა 20 ლარს (27.05.2021 წ N44 ბრძანება, 17.06. 2021 წ. N57 ბრძანება, 13.08.2021 წლის N83 ბრძანება).

იგივე ჯგუფი მუშაობდა 2022 წელში (14.01.2022წ N6 ბრძანება და 16.03.2022წ N21 ბრძანება). დირექტორის, 2022 წლის N9 ბრძანებით, ნატო კუბლაშვილის თვითიზოლაციაში გადასვლის გამო, 28 იანვრიდან 04 თებერვლამდე პერიოდში, კოვიდტესტირების პირველადი რეგისტრაცია დაევალა ირინა რაზმაძეს - საქმისმწარმოებელს, ხოლო 2022 წლის 15 თებერვლის N12 ბრძანებით, ნატო კუბლაშვილის კოვიდინფიცირების გამო, კოვიდტესტირების პირველადი რეგისტრაცია, 15 თებერვლიდან - 28 თებერვლამდე, დაევალა ნინო ცნობილაძეს, სანიტარ-დამლაგებელს. გაუგებარია რატომ მოხდა სამუშაო ჯგუფში დამლაგებლის შეყვანა.

რისკი - ინფექციურ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების პროცესში თანამშრომლების არაორგანიზებულად ჩართვამ, არათანაბარწილად, ფუნქცია-მოვალეობების შეუსაბამოდ, დავალებების გადანაწილებამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პროცესის წარმატებით განხორციელებაზე.

რეკომენდაცია - ინფექციურ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების პროცესში მოხდეს თანამშრომლების ორგანიზებულად ჩართვა, ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, განხორციელდეს დავალებების თანაბარწილად გადანაწილება.

ცენტრის მიერ, განსახორციელებელი სავალდებულო ღონისძიებები ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად, სრულდება ყოველწლიურად დამტკიცებული სამოქმედო პროგრამების შესაბამისად.

ა.ა.ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს უმთავრესი ფუნქცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო ეპიდსიტუაციის შენარჩუნებაა, რაც ინფექციურ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების სისტემატიურად გატარების საფუძველზე მიიღწევა.

შიდა აუდიტის პერიოდში ა.(ა.)ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები - ცენტრის დირექტორი მადონა ქასრაძე, ცენტრის ბუღალტერი თამარი გოგლიძე.

აუდიტორთა ჯგუფი:

შიდა აუდიტის სამსახურის

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: /ფატი ბარბაქაძე/

შიდა აუდიტის სამსახურის

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი: /ლუბა აბესაძე/

ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"-ს პასუხისმგებელი პირები:

ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

ცენტრის" დირექტორი: /მადონა ქასრაძე/

ცენტრის ბუღალტერი: /თამარ გოგლიძე/